წელიწადი 1911 პირველი

ორშაბათი, 1 აგვისტო № 30

თეძი

ორშაბათი 1 აგვისტო №30

ფასი გაზეთისა წლიურათ—2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით—2 მან 3 თვით—1 მან.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწერებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 12 საათამდის. რედაქციაში (Дворцовая ул. д. Д. САРАДЖЕВА № 6. ხელის მოწერა და განცხადებები მიიღება აქვე კვირა-უქმე დღეებს გარდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით

მიიღება ხელის მოწერა
1911 წლისათვის
გაზეთ თეძზე

ფასი გაზეთისა:

წლიურათ	2 მ. 50 კ.
ნახევარი წლით	1 მ. 25 კ.
სამი თვით	1 მ.

განცხადებათა ფასი:

პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი	15 კ.
უკანასკნელ გვერდზე	10 კ.
ტექსტის შუაგულს	20 კ.
სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა	3 მ.

რედაქტორი სოფრომ მგალობლიშვილი. კომპეტენტული გრიგოლ დიასამიძე. გაზეთის საქმეების გამო რედაქციის მდივანი დავით კასრაძე მიიღებს 11 ს.—12 ს. ყოველ დღე. რედაქციის და კანტორის ადრესი: Дворцовая ул., д. Д. САРАДЖЕВА № 6.

რედაქცია და კანტორა

გადავიდა დ. სარაჯიშვილის სახლში.

Дворцовая ул. д. № 6.

გამოვიდა და იყიდება წ. კ. გ. საზ. წიგნის მაღაზიაში, სოსიკო მერკვილაძესთან,

საქართველოს ყველა ქალაქების და დაბების წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე სადგურებზედაც **აღ. თუთაევის** ახალი თხზულება: **„მეოთხე კაენი“**. დრამა სამს მოქმედებათ დეპოლოგი ფასი 30 კაპ.

იქვე იყიდება ამავე ავტორის შემდეგი პიესები:

„ცოლი ვიტირო თუ ფული“—15 კ. „უმარულის ბრალია“—10 კ. „ბედმა მოლალატა“—20 კ. „უშნო არშიყო“—და ვოდეველი „სოფო“—20 კ.

ყველა პიესები ნება დართულია წარმოდგენებისათვის.

ჩვენი ბანკები

1.

ტფილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკების გაძლიერებას უნდა ეცადოს ყველამ, ვისაც სურს, რომ სხვა და სხვა ქართულ საზოგადო დაწესებულების მაცოცხლებელი წყარო არ დაშრიტოს. ეს წყარო დღესაც საკმარისად დიდია,—უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ტფილისის ბანკმა სამეურნეო თანხას სამასი ათასი მანეთი გადასცა, სხვა და სხვა საჭიროებას ერთ მილიონზე მეტი,—ქუთაისის ბანკმა კიდევ საზოგადო საჭიროებას ამავე წლების განმავლობაში 350 ათას მანეთზე მეტი მოახმარა,—კარგ მოვლით ამ წყაროსი,—ბანკების წმინდა მოგების—გაორკეცებაც არ გაძნელდება, მის გაორკეცებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საზოგადოებამ.

მართალია, ქუთაისის და ტფილისის ბანკსაც თავთავისი გამგეობა ყავს, რომელიც ყველა საქმეებს განაგებს, მაგრამ საზოგადოებას მაინც არა აქვს უფლება არჩეულ პირების მოიმედეთ დარჩეს და თვითონ საქმეს არავითარი ყურადღება არ მიაქციოს,—განსაკუთრებით არა აქვს ამის უფლება საზოგადოებისგან არჩეულ რწმუნებულებს, რადგანაც ისინი, ბანკის წესდების ძალით, წელიწადში ერთხელ მაინც თავს იყრიან ანგარიშების შესამოწმებლად, მომავალ წლისათვის ხარჯთაღრიცხვის დასამტკიცებლად და ბანკის საამოქმედო გეგმის შესამუშავებლად. ბოლოს და ბოლოს გამგეობა მხოლოდ საზოგადო კრების მონდობილობით მოქმედობს და საზოგადო კრების გადწყვეტილებას ასრულებს,—ნამდვილი გამგე და პასუხისმგებელი საზოგადოების წინაშე ეს საზოგადო კრება—რწმუნებულთა კრებული უნდა იყოს...

უნდა იყოს, მაგრამ, არ არის... არ არის იმიტომ, რომ რწმუნებულებში მეტად იშვიათია ბანკის საქმეების ცოდნა და ბანკის მდგომარეობის ან მის მრავალნაირ საჭიროებათა გაგება... არ არის იმიტომ, რომ ზოგიერთები ბანკის შესახებ ცოდნის გავრცელებას საზოგადოებაში ყოველთვის ერიდებოდენ... მხოლოდ ჩვენში არის შესაძლებელი ასეთი მდგომარეობა—საზოგადოება წესდების ძალით ბანკის საქმეებს რწმუნებულებს ანდობს, ესენი კი თავსაც არ იწუხებენ იმისთვის, რომ ნაკისრებ საქმეს ცოტაოდნათ მაინც გაეცნონ, ეს გაცნობა ზოგიერთისაგან ბანკისთვის მავნებლადაც მიჩნეულია...

საჭირო ცოდნას მოკლებული რწმუნებული საზოგადო კრებაზედ საჭირო შეგნებას ვერ იჩენს და ამიტომ კრებებზე დამსწრე რწმუნებულთა უმეტესობას ბანკის შესახებ სჯასა და ბაასში განსაცვიფრებელი მოუმზადებლობა ეტყობა.

შეიძლება ამ მოუმზადებლობის შედეგი იყოს ის გარემოება, რომ ჩვენი ბანკებისაგან გამოცემული გირავნობის ფურცლები დღეს კიდევ დაცემულ ფასებში სალდება...

იყო დრო, როდესაც ქუთაისის და ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის გირავნობის ფურცლები რუსეთის ბირჟაზე ისეთსავე სანდოთ მიჩნეული იყო და თითქმის ისეთსავე ფასებში იყიდებოდა, როგორც რუსეთის საადგილ მამულო ბანკების ფურცლები.

ეს დრო წავიდა,—იმ წრეებში, სადაც გირავნობის ფურცლები საღდება, ჩვენებურ ბანკებს ცოტათი არ იყოს სახელი გაუფუჭდათ, ადგილობრივ ბანკების მდგომარეობას ეჭვის თვალით დაუწყეს ცქერა, გირავნობის ფურცლების ფასებმა იკლო და ახლა ტფილისის ბანკის 5-%-იანი გირავნობის ფურცელი მაგ., პოლტავის ბანკის $4^1/_2$%-იან გირავნობის ფურცელზე მეტი კი არ ღირს, ნაკლებად ფასობს...

ასეთსავე მდგომარეობაშია ქუთაისის ბანკიც, ასეთივე ნდობა გატეხილია ბირჟაზე ტფილისის და ბაქოს საკრედიტო საზოგადოებაც,—ამ მდგომარეობას თითქო შეეჩვია ჩვენი საზოგადოება, ადგილობრივ ბანკების სათავეში მყოფი პირებიც თითქო აოაფრად აგდებენ ამ გარემოებას,—არაფრით ცდილობენ ჩვენი გირავნობის ფურცლებს რამენაირად მეტი ნდობა მოუპოვონ ბირჟაზე და მეტ ფასში მათი განაღდება შესაძლოთ გახადონ... ტფილისის სათავადაზნაურო ბანკმა 1910 წელს ხუთი მილიონ მანეთის სესხი გასცა,—გირავნობის ფურცლებს შესაფერი ფასი რომ ჰქონოდათ, მსესხებლებს ამ ფურცლების განაღდებაში ნახევარ მილიონით ნაკლები ზარალი მოუვიდოდათ, ვიდრე ნამდვილათ მოსვლოდათ. გირავნობის ფურცლების სიიაფე აძვირებს ბანკის სესხს,—მსესხებელი ას მანეთ სესხზე იხდის წლიურად სარგებელს 5 მანეთს, მაგრამ ნაღდათ მას ამ ას მანეთიან ქაღალდში მხოლოდ 86-87 მანეთს აძლევენ, გადასახდელი ყოველწლიური სარგებელი კი ისევ 5 მანეთი რჩება, რაც თითქმის 6% უღრის. ამნაირად სესხი 6% ჯდება, ერთი პროცენტით მეტი იმაზედ, რაც უნდა ჯდებოდეს.

ყოველ საკრედიტო დაწესებულების მიზანია საქმის გაფართოება,—საადგილ-მამულო ბანკი ამიტომ მეტ მსესხებლების შოვნას უნდა ეცადოს, მეტ სესხის გაცემას,—როდესაც სესხი ძვირი ჯდება, მამულის პატრონი, რასაკვირველია, ადვილათ არ მიმართავს ბანკს სესხისთვის და მამულს მხოლოდ მაშინ დააგირავებს, როდესაც გასაჭირი ადგია, როდესაც ფული, რაც შეიძლება მეტი ფული სჭირია. და აი ამიტომ ცდილობენ ყველანი ჩვენებურ ბანკებში რაც შეიძლება მეტად შეაფასებინონ თავიანთი მამული, მეტი სესხი გადააწყვეტინონ გამგეობასაც.

ეს მეტი სესხი იმიტომაც სჭირიათ, რომ გირავნობის ფურცლების განაღდებაში ნაწილი უნდა იზარალონ, ას მანეთში მხოლოდ 86-ან 87 მანეთი მიიღონ...

ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა ხელს ვერ შეუწყობს ბანკს ბუნებრივ განვითარებას... ცხადია ისიც, რომ ამ მდგომარეობას მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც ბანკის გამგეობამ, ისე რწმუნებულებმაც...

ნუ იტყვიან, რომ კერძო ადამიანის მეცადინეობას ამ მდგომარეობის შეცვლა არ შეუძლია, რომ ბირჟას თავისი კანონები აქვს, ჩვენს სურვილებზედ უფრო ძლიერი,—ეს შეცდომაა, გაუგებრობით გამოწვეული. მართალია, ხელოვნურის საშუალებით არ შეგვიძლია ადგილობრივ ბანკების გირავნობის ფურცლებს იმაზედ მეტი ფასი მოუპოვოთ, რაც რუსეთის ბანკების გირავნობის ფურცლებს აქვს, როდესაც ერთსა და მეორეზედ ივივე სარგებელია, მაგრამ თანასწორ ფასების მოპოვება რად არ უნდა შევიძლოთ, ამას ვერავინ ვერ გაგვაგებინებს. გირავნობის ფურცელი იგივე ბაზარში გასაყიდათ გატანილი საქონელია და მას მოვლა, მუდმივი თავზე ტრიალი და ყურის გდება სჭირია. მოუველელად, თავის ანაბარად დატოვებული საქონელი იშვიათად თუ გაიყიდება დროზე და რიგიანად.

გაგონილა ისეთი ვაჭარი, რომ საქონელი ჰქონდეს და მის რიგიანად გასაღებას არა სცდილობდეს, გაგონილა ისეთი ადამიანი, რომ საქონელს სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეში ყიდდეს და ის კი არ იცოდეს, თუ რომელი კუთხე მისგან რამდენ საქონელს მოითხოვს, ვინ არის მისი უმთავრესი მუშტარი,—არ კითხულობდეს მუშტრის აზრს, მის სურვილების დასაკმაყოფილებლად არავითარ ზომების მიღებას არა ცდილობდეს?.. ასეთი ვაჭრები გვყავს,—ასეთი ვაჭრები ადგილობრივი საადგილ-მამულო ბანკებია, მათი საქონელი—გირავნობის ფურცლები ისევ მოფენილი რუსეთის და საზღვარ-გარეთის სხვადასხვა კუთხეში, რომ არც კი ვიცით, სად და რამდენია ეს ფურცლები დაბინავებული.

ამის ცოდნა საჭირო არის,—გირავნობის ფურცლებს კუპონები აქვს, კუპონების ფურცლები დრო გამოშვებით გამოსაცვლელია, თუ ვიცით, სად და რამდენია დაახლოებით გირავნობის ფურცელი დაბანდებული, შეგვიძლია იქ უფრო რიგიანად მოვაწყოთ კუპონების განაღდება და საკუპონო ფურცლების გამოცვლა. რუსეთში მრავალი საკომერციო ბანკია, რამდენიმე დიდი დამზღვევი საზოგადოება,—ყველას ასი ათასობით აქვს ნაყიდი სხვადასხვა სარგებლიანი ქაღალდები, სხვათა შორის რუსეთის ბანკების გირავნობის ფურცლებიც,—ჩვენი ფურცლების ყიდვას ისინი ერიდებიან, ამ ფურცლების ყიდვა მათთვის არავის არ გაუხსენებია. ბანკებისაგან და დამზღვევ საზოგადოებათაგან ჩვენი გირავნობის ფურცლების ყიდვა დიდათ შეუწყობს ხელს ამ ფურცლების გავრცელებას საზოგადოებაშიაც, ეს ერთგვარი რეკლამა არის, ერთგვარი ნდობის გამოცხადება... ამ ბანკებს ჩვენი ფურცლების ყიდვა რომ ვთხოვოთ,—სირცხვილია, და ამითი ნდობაც დაგვეკარგება,—სხვა საშუალებაც ბევრია იმისთვის, რომ მათ ჩვენი ქაღალდებიც შეგაძენინოთ...

ჩვენში საზოგადოთ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ წლიურ ანგარიშს და ივიწყებენ, რომ ეს ანგარიში რუსეთის სხვა და სხვა ქალაქში მიდის, ფინანსთა სამინისტროს გამოცემაში იბეჭდება და რუსეთის სხვადასხვა კუთხეში ამცნევს ყველას ჩვენებურ ბანკების ახლანდელ მდგომარეობას. ჩვენში იშვიათია ადამიანი, რომელსაც დაბეჭდილ ანგარიშების გაგება შეეძლოს,—რუსეთის სხვადასხვა კუთხეში ჩვენს ანგარიშებს ხელში იღებენ ისინი, ვინც შეჩვეულია ანგარიშების გაგებას. ვინშე ფულიანი კაცი ადესაში ან მოსკოვში ჩვენი ბანკების გირავნობის ფურცლების ყიდვას თუ აპირებს, ჯერ ამ ბანკების ანგარიშებს მოითხოვს და გაეცნობა, და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ეს გაცნობა მას სრულებით ვერ დააკმაყოფილებს.

ამ ოცდა-ხუთმეტი წლის განმავლობაში რუსეთის ბანკებმა სრულებით შესცვალეს წლიურ ანგარიშების გარეგანი სახე და შინაარსი,—მსურველს ამ ანგარიშების წაკითხვით ადვილათ შეუძლია ბანკის ნამდვილ მდგომარეობაზე სრული და სწორი შეხედულება მიიღოს.

ამ ოცდახუთმეტი წლის გამოცდილება ჩვენს ბანკებისთვის უნაყოფო გამოდგა. დაუჯერებელი, მაგრამ მართალი არის, რომ ეს ბანკები თავიანთ წლიურ ანგარიშებს ისევე ადგენენ ღა ისეთ სახით ბეჭდავენ, როგორც და რა სახითაც ადგენდენ ოცდა-ათი წლის წინეთ, როდესაც სესხიც მხოლოდ ასი ათასობით გაცემული ჰქონდათ და გირავნობის ფურცლების მყიდველიც ასიოდე მოეპოვებოდათ... ის, რისი შეცვლაც საჭიროთ დანახეს რუსეთის ბანკებმა, ჩვენში დღემდე შეუცვლელია, თითქო ჩვენ ქვეყნის გარეშე ვცხოვრობდეთ და ჩვენს ბანკებს კავკასიონის მწერვალებს იქით არავითარი კავშირი არ ჰქონდესთ...

ის ადამიანი, რომელიც მოსკოვში ჩვენებურ ბანკების ანგარიშებს დახედავს და რუსეთის ბანკების წლიურ ანგარიშებს შეადარებს, იფიქრებს—ეს რაღაც კავკასიის ბანკები რომ ყოფილა, მათ გირავნობის ფურცლებს რა ფასი უნდა ჰქონდეს, როდესაც თანამედროვე ცხოვრების განვითარებას არავითარ ყურადღებას არ აქცევენო...

ვაჭარი ცდილობს თავისი დუქანი შნოიანად მოაწყოს, ცდილობს შნოიანი პრეისკურანტი დაბეჭდოს, ყოველნაირად გაცნოს თავისი საქონელი მყიდველებს, რადგანაც იცის, რომ ამით მყიდველს იშოვნის, ჩვენ კი გვინდა გარეთ მყოფ საზოგადოების სრულიად კანონიერი მოთხოვნაც უყურადღებოთ დავტოვოთ, მას ბანკის შესახებ ჩვეულებრივი ცნობაც არ მივაწოდოთ და გვგონია, ამით გირავნობის ფურცელს ახალ მყადველებს ვუშოვნით და ფასს მოვუმატებთ.

მნიშვნელობა აქვს თვით ბანკის მდგომარეობასაც: რა უნდა იფიქროს მოვაჭრე საზოგადოებამ, როდესაც ხედავს რომ ქუთაისის ბანკზე დარჩენილი იყო მამული

1904 წ.	132462 მ.
1905 წ.	317106 მ.
1906 წ.	528140 მ.
1907 წ.	978704 მ.
1908 წ.	1086268 მ.
1909 წ.	1358333 მ.
1910 წ.	1511390 მ.
1911 წ.	1710362 მ.

და ამას გარდა კიდევ 415 ათასი მანეთი მამულების ზარალი ჯერ-ჯერობით გადაუხდელად არის დატოვებული? რა უნდა თქვას, როდესაც თბილისის ბანკის ანგარიშებს დახედავს და დაინახავს, რომ აქაც იყო ბანკზე დარჩენილი მამული

1904 წ.	269.209 მანეთის
1905 „	834847 —
1906 „	1.216.012 —
1907 „	1.293.073 —
1908 „	1.629.118 —
1909 „	1.869473 —
1910 „	1.673328 —
1911 წ.	958850 —

და ამას გარდა უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ბანკმა უკვე გაყიდულ და ჯერ გაუყიდავ მამულში ნახა ზარალი 1.700000 მანეთი, რომელიც ამ დროს განმავლობაში წლიურ მოგებას დააკლდა?

ნუ იფიქრებთ, რომ სხვა ბანკებშიაც ასეთივეა მდგომარეობა, 1905 წელს მაგ., როდესაც შედარებით ბევრი იყო ყველა ბანკებზე დარჩენილი მამული ცხრა საქციონერო საადგილმამულო ბანკში ირიცხებოდა ხუთ მილიონ მანეთის ბანკებზე დარჩენილი მამული.

ამავე წელს ყველა ბანკს გაცემული ჰქონდა საერთოდ სესხათ 933 მილიონი მანეთი.

ტფილისის ბანკს კი ახლა, 1911 წელს, გაცემული აქვს 43 მილიონი, ქუთაისისას მხოლოდ 12 მილიონი მანეთი!

დაწყნარდა პოლიტიკურად რუსეთი, ეკონომიურ ცხოვრებას გამობრუნება დაეტყო და ბანკებმაც მათზე დარჩენილი მამულები მოიშორეს... ახლა, 1911 წელს 1 იანვრისათვის, დარჩენილია ამავე ბანკებზე მამულები.

ხარკოვის ბანკზე	114890 მანეთის
პოლტავის „	არაფერი
პეტერბურგის ტულის	194765 —
მოსკოვის „	124432 —
ბესსარაბიის „	67464 —
ნოვეგორ-სამარის	225370 —
კიევის „	არაფერი
ვილნოსი „	196800 —
იაროსლავო-კოსტრომის	162635 —

სულ ამ 9 ბანკში, რომლებსაც საერთოდ 900 მილიონ მანეთზე მეტი სესხი აქვთ გაცემული, რჩება მამული 1.086.256 მანეთის, ე.ი. თითქმის იმდენივე, რამდენია მარტო ტფილისის ბანკზე, თუმცა ტფილისის ბანკს მხოლოდ 43 მილიონის სესხი აქვს განაღდებული. ცხადია, რომ ამნაირი მდგომარეობა იმათ, ვისაც ანგარიშების გაგება იციან, შეუძრეველი არ დაურჩებოდათ და რომ მას თავისი გავლენა ექმნებოდა ჩვენ ბანკების გირავნობის ფურცლების ფასებზე.

მათზე დარჩენილ მამულების დროზე

Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами въ Тифлисѣ

Адреса телеграммъ Антасъ

ამხანაგობა

ურჩევს ყველას იყიდონ მისგან საკუთრად მომზადებული:

„ბელა“—ტუალეტის საპონი.

„ბელა“—სუნნელოვანი პუდრი.

„ბელა“—საცხებელი კრემი პირისა და ხელებისათვის.

ხელოვნური კბილები

გაკეთება ხელოვნური კბილებისა ოქროზე, კაუჩუკზე, ხელოვნურ სასაზე და უსასაოდაც, აგრეთვე სოლებით დამაგრებულ ფესვებზე. ჭია ნაჭამ გაწშენდილ კბილებზე ოქროს ანუ ფაიფურის ხელოვნური კბილების ჩამოცმა. წინა კბილების და ღოჯების გასწორება სრულებით უტკივრად.

კონსტანტინე ქავთარაძე.

მიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

მუხრანიანთ ქუჩა, სახლი № 5.

რესტორანი „კაფე-პარიზი“

ქართული თეატრის ეზოში (სასახლის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურობის სახლში) ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო, ცხელი „პიროჟკები“ სხვა და სხვ. ბუტერბროდები, ხაჭაპური.

✖ საუზმე პორციებით 25 კ.—50 კაპეიკამდე. ✖

საღილები: 2 ფერი—50 კ. 3 ფერი—70 კ. 4 ფერი—1 მან

მინერალური წყლები

ღვინო, არაყი, შაგარი სასმელები სხვა და სხვა ქარხნების ლუდი ბოთლებით და ჭიქებით. ცხელი პორციები, წვენი, შემწვარი. შეიძლება საჭმელეულის მოთხოვნა ცალკე კარტითაც. თვიურად შეღავათიანი პირობებია. ფასი ზომიერია. სრული სისუფთავე წესიერება.

პატივის-ცემით თოფურია.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავათმყოფთათვის

ვაგზლის ქუჩა № 8 ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^1/_2$—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე კვირის გარდა $11^1/_2$—$12^1/_2$-დე სიფილისი, კანისა და ვენერ.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე კვირის გარდა $11^1/_2$—12-დე ყელ. ყურ. ცხვირ. სნეულ.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა, შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოვ. დღე კვირის გარდა 1—2. ქირურგ. და ქალებ. სნეულ.

ზ. ა. მიქელაძე—ყოვ. დღე 1—2 ს. შინაგ. დაბავშვ.

ბ. ვ. სოგანლევსკი—ყოვ. ღღე კვირის გარდა 2—3-დე ქირურგიული სნეულ. მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.

წამლობა „606“-ით

გაყიდვას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივმა ბანკებმა,— დროზე გაყიდვას მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ამ მამულების კარგ გამგეობას და რუსეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იქ უფრო სასარგებლოთ უნახავთ,—რაც შეიძლება მალე თავიდან მოეშორებინათ დარჩენილი მამულები და მათს მოვლა-გამგეობისთვის განსაკუთრებული ორგანიზაციები აღარ მოეწყოთ. ოდესის საკრედიტო საზოგადოებაში 1908 წელს დაიხარჯა რემონტზე 67923 მანეთი და გამგეობაზედ 6706 მანეთი,—სულ 74629 მანეთი.—ეს იმ დროს, როდესაც ბანკზე რამდენიმე მილიონ მანეთის მამულები ირიცხებოდა. ვილნოს ბანკში მამულების რემონტზე და გამგეობაზე დაიხარჯა 1904 წ. 9900 მანეთი 1910 წ. 17000 მანეთი—გაცილებით ნაკლები ვიდრე ტფილისის და ქუთაისის ბანკებში.

ამერ-იმერელი.

ვაზრიელ ეპისკოპოზის წერილების ეამო.

ფრიად საყურადღებო წერილები დაიბეჭდა სულმნათი იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა რუსულ გაზეთ „ზაკავკაზ. რეჩი.“ ის საეჭვბოროტო საკითხები, რომელსაც ეხება განსვენებული მღვდელმთავარი გაბრიელი, დღესაც საჭირ-ბოროტო საკითხებს შეადგენს ქართველთათვის. იმავე მდგომარეობას განიცდის ქართული ენა, როგორშიაც იყო სამოცდა ათიან წლებში, იმავე თვალით უცქერიან, იმავე აღლით ზომავენ ქართველთა ტომის ხალხებსა—მეგრელებს და სვანებსა, ვითომ ისინი ცალ-ცალკე ერებს წარმოადგენენ და არავითარი საერთო არა აქვთ რა ქართველ მოდგმასთან. ისევე სდევნიან და ერეკებიან ქართველ მოხელეებს სხვა და სხვა სახელმწიფო სამმართველოებიდან, როგორც გაბრიელ ეპისკოპოზის დროსა. ერთად ერთი კაცი აღმოჩნდა სამოცდაათიან წლებში, რომელიც თამამად, მედგრად და უშიშრად შეებრძოლა მთავრობას და საოცარის ლოღიკით უმტკიცებდა, რომ ტყუილად და უსაფუძვლოდ ფიქრობენ, ვითომ ქართველობა სეპერატიზმს ადგია და ფიქრობს თავის განთავისუფლებას.

ეს უკუღმართი აზრი მთავრობის მოხელეებში დიდი ხანია ტრიალებდა, მაგრამ ჯერ გამომზეევებული არ იყო, საქვეყნოდ, საგანგაშოდ არ იყო ჯერ გამხდარი. მოგეხსენებათ, წყლულ მუწუკს გამორწყვა უნდა. კანცელარიებში დაგუბებულმა შხამმა გარედ გამოხეთქა, დაფარვა აღარ შეიძლებოდა, თამამად გამოილაშქრეს ქართველების წინააღმდეგ და მოინდომეს მისი ჩასნსვლა. ამ მხრივ სასულიერო უწყებამ ძალიან იჩინა თავი.

გაბრიელ ეპისკოპოზის ამხედრებას მაშინდელ სასულიერო მთავრობის წინააღმდეგ ქართული ენის გამო წინაუძღოდა შემდეგი გარემოებანი: სასულიერო სასწავლებლებში 1873 და 1874 წლებამდე თითქოს სულ ქართველები იყვნენ უფროსებად და მასწავლებლად. მხოლოდ გორის სასულიერო სასწავლებელში იყვნენ ზედამხედველებად რუსები—ჯერ ი. მიტკევიჩი და შემდეგ პავლოვი, ტფილისისაში ი. გოგებაშვილი იყო, თელავისაში თინიკაშვილი, ქუთაისისაში გ. კალანდარაშვილი. ქართულ ენას დათმობილი ჰქონდა მცირე გაკვეთილები, ასწავლიდნენ მხოლოდ ხუცურ კითხვასა და ტიბიკონსა—ასე იყო გორის სასწავლებელში. მაგრამ ტფილისსა და ქუთაისში კი სხვა ფრივ იყო დაყენებული ქართული ენის საქმე. არც გასაკვირველია: ამ სასწავლებლებს სათავეში უდგნენ ი. გოგებაშვილი და გ. კალანდარიშვილი. მე ვიცი, რომ ი. გო-ლი ასწავლიდა არა მარტო ხუცურსა, არამედ ასწავლიდა ქართულ სიტყვიერებას, ასწავლიდა ქართულ გრამატიკას. ამ სტრიქონების დამწერმა თვით ვისარგებლე მასწავლებლობის დროს ი. გო—ს მაშინდელი შედგენილი ქართული ენის პროგრამითა.

სასულიერო სემენარიაში კი სრულიად უყურადღებოდ იყო დატოვებული ქართული ენა. კვირაში ერთი, თუ, არ მახსოვს, ორი გაკვეთილი იყო ხუცურის საკითხავად. შეგვყრიდნენ ერთად ორი კლასის მოწაფეებს, ამოდენა ნახირს ორი-სამი დავითნი გვქონდა, მასწავლებელი რომელიმე ფსალმუნს წაიკითხავდა და მერე შეგირდებს აკითხებდა. ჩვენ თითქმის ყველას სახლში გვქონდა გავლილი მთელი ჟამნ-დავითნი და ქართულის გაკვეთილი დასასვენებელ ეტაპად იყო ჩვენგან მიჩნეული. მაგიერში ქართულ ლაპარაკს, ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთების კითხვას არავინ გვიშლიდა. საზოგადოდ სასწავლებელში ქართული სული ტრიალებდა, ქართული ატმოსფერა იყო გამეფებული. ამას ხელს არავინ უცარავდა, რადგან ეს მაშინდელი ქართული სული და ქართული ატმოსფერა საშიშროებად არ მიიჩნდათ პოლიტიკურის მხრივ; სემენარიაში მხოლოდ ერთი ქართველი იყო მასწავლებლად, ისიც განვლენას მოკლებული მოსწავლეებზე.

აი, დრონი იცვალნენ; ნელნელა ჩადგეს ფეხი ტფილისის სემენარიაში ქართველებმა: 1867 წ. ენკენისთვიდან იწყო მასწავლებლობა თომა ტურიაშვილმა, შემდეგ წლებში გ. იოსელიანმა და ნ. ცხვედაძემ. მაშინ სემენარია და სასულიერო სასწავლებელი ერთად იყო მოთავსებული სემენარიის ძველ შენობაში. ამ შენობაში ცხოვრობდა ი. გოგებაშვილი, როგორც ზედამხედველი სასწავლებლისა. მაშინ ჩვენი იაკობი უკვე ცნობილი იყო, როგორც საგანგებო მასწავლებელი და სპეტაკი ქართველი. მისი სახლი მაშინდელ ქართველ ახალგაზდობისათვის **სტინკევიჩის სახლი** იყო. ახლად ჩამოსულნი რუსეთიდან ქართველნი უთუოდ უნდა ზიარებულიყვნენ სამამულიშვილო აზრებით იაკობთან. ზემოდ დასახელებულნიც ეზიარნენ იმასთან და ძმურად შეუდგნენ მოსწ. ახალგაზდობის აღზდა-განათლების საქმესა. იმ დროს სწავლა-აღზდის საქმე ძალიან დაქვეითებული იყო; არა ვითარი ცოცხალი სიტყვა არ გვესმოდა მასწავლებლისაგან, არა ვითარი მამაშვილური მოპყრობა. მხოლოდ გაკვეთილს **გაკბილვა** და **კვლავ გაკბილვა**. 1867 წლიდან კი, როცა ზემოდ დასახელებული ქართველები გამწესდნენ ტფილისის სემენარიაში, სწავლა-აღზდის საქმემ სრულიად ფერი იცვალა. მოსწავლეებმა იგემეს სწავლის სიტკბობა, დაეწაფნენ ხარბად სწავლასა და და სხვა და სხვა წიგნების კითხვასა. აღარ მოსწონდათ ძველი მასწავლებლები, რომელთაც მხოლოდ სასელი ჰქონდათ მასწავლებლისა და გაკვეთილის ახსნისა და გადაცემისა კი არა გაეგებოდათ-რა. განსაკუთრებით პავლე კოკროვი და იასე სულხანიშვილი იყვნენ ამ მხრივ შესანიშნავნი. შეგირდებმა ხმა აიმაღლეს, ითხოვეს **კავროვის მაგივრად** ახალი მასწავლებლის მოწვევა. ამან გაამწვავა საქმე. სინოდმა 1872 წ. გამოგზავნა რევიზორად ბ. ზინზენკო, რომელიც აღტაცებაში მოვიდა ქართველ მასწავლებელთაგან; **კავროვი წაიყვანეს**. მაგრამ მთავრობამ ამ გარემოებას სხვა სარჩული დაუდო. ზიზენკოს არა დაუჯერეს რა, მოაწყეს სხვა ფრივ საქმე. 1872 წლ. ქართველები იყვნენ რექტორის თანამშემწეებად, ე. ი. ინსპექტორებად: ჯერ იყო იასე სულხანიშვილი, იმის შემდეგ ასრულებდა ამ თანამდებობას გ. იოსელიანი. იოსელიანი გადააყენეს და დანიშნეს ინსპექტორად ივანე კუვშინსკი, კაცი ერთობ ცეტი, მოურიდებელი, რომელსაც ჰქონდა გავლილი მკაცრი სკოლა დირექტორ ზახაროვისა. აი ამ დროდან უცებ შეიცვალა სემენარიის ცხოვრება. კუვშინსკი დანიშნეს, ვგონებ, 1873 წ. იანვარში. მოსვლის უმალვე იერიში მიიტანა ქართველ მასწავლებლებზე, რომელნიც მაგრა დაუხდნენ და არაფერი არ დაუთმეს. კუვშინსკიმ აუარებელი შპიონები გაიჩინა, სემენარიის ავი და კარგი ხელის გულივით იცოდა. დაუწყო დევნა ქართულ ენასა. განსაკუთრებით კვალში ჩაუდგა იმ მოწაფეებს, რომელთაც ქართული წიგნები შემოჰქონდათ გარედან, შემოჰქონდათ გაზეთი „დროება“, ჟურნალები „კრებული“ და „მნათობი“ და შეგირდებში ავრცელებდნენ. სიცოცხლე აღარ იყო კუვშნსკისაგან. ზღაპრულ გველეშაპივით დაუხშო სასწავლებელს ჰაერი, მოშხამა იგი, შიგ დახჩობა სურდა მთელის სასწავლებლისა. იყო ამ დღე ცემა-ტყეპა ენატანია შეგირდებისა, ერთი თავი და თავი ენატანია დღისით მძინარე თოკით მიაკრეს აივნის სურაიებზე. მოსწავლენი გაიფიცნენ, არ მიჰკარებოდნენ. დასტოვეს აივანი და ყველანი ოთახებში შელაგდნენ. გამოღვიძებისას ენატანიამ მორთო ყვირილი, მაგრამ მშველელი სად იყო. ჩავიდა ხმა კუვშინსკისადმე და მან გაანთავისუფლა **თვისი ანგელოზი**. გაცოფდა კუვ—სკი: დაუარა ყუთებსა, იპოვა ქართული წიგნები, ათი შეგირდი ჩასწერა, დაემუქრა, მაგრამ ორჯელ ძლიერ მისტყიპეს, ამიტომ შეგირდებს ჩამოეხსნა, მაგრამ აამსო პეტერბურგი „დანოსებითა“. არ იქნა, სახელმწიფოს საფრთხე მოელის ორგული ქართველებისაგანაო. ამას მოჰყვა ბ. კერსკის რევიზია 2873 წ. ენკენისთვეში. ქართველ მასწავლებლებში ვერავითარი წუნი ვერ შეიტანა, მაგრამ მათი გაჩერება მაინც მაგნებლად სცნო. მთელი შემოდგომა დაჰყო კერსკიმ ტფილისში, მას მასალას აძლევდა და ციხეს შიგნიდან სტეხდა ალ. არდაზიანი, რომელსაც ამასათვის „ობერ-მაშენიკი“ დაარქვეს. ეს ის არდაზიანი გახლავთ, რომელმაც უთვალავი ფული შეჭამა საქართველოს სასინოდო კანტორისა.

კერსკის რევიზიას მოჰყვა ცხადი დევნა ქართველებისა, ქართულ ენისა და ქართველ ტომთა ხალხებისა.

პირველი წერილი მღვდელმთავარ გაბრიელისა გამოწვეულია კერსკის რევიზიის გამო. მან სინოდში წარუდგინა აზრი, რომ სასულიერო სასწავლებლებში უფროსებად უსათუოდ რუსები უნდა ყოფილიყვნენ. ამის შესახებ ექსარხოსმა ევსევიმ, სხვათა შორის, ეპისკოპოზ გაბრიელსაც მისწერა ქალაქი 1874 წ. აპრილის 8-ში № 1903-თა. ეპ. გაბრიელმა აპრილშივე შემდეგი პასუხი გაუგზავნა:

„კერსკის აზრი გონივრულ და კეთილ სინდისიან აზრად არ უნდა იქმნას მიჩნეული: პირველად, იმიტომ რომ, როდესაც საქმე ეხება რომელიმე სამსახურის ადგილისა და თანამდებობის დაჭერას საქართველოში, მაშინ სამართლიანობა და კეთილ გონიერი პოლიტიკა მოითხოვს, განსხვავება არ იყოს თანამდებობის მძებნელთა შორის, გაოდა მათის კეთილგანზრახულებისა, პატიოსნებისა და ნიჭისა, განსაკუთრებით კი არ უნდა იყოს გარჩევა რუსთა და არა რუსთა შორის. ამ წესს, რამდენათაც მე ვიცი, ადგია ჩვენი უმაღლესი მთავრობა. ამის წინააღმდეგი განკარგულება კი დაჰბადებდა ადგილობრივ მკვიდრთა შორის მწვავე და დაუმსახურებელს შეურაცხყოფას. მეორედ, იმიტომ რომ, როგორც საზოგადოებაში, ისე რუსულ ლიტერატურაშიაც გამოსჭვივის, როგორც მოგეხსენებათ, სურვილი უცხო ტომთა გარუსებისა და მათის გარდაქმნისა ერთ რუსის ერად, თუმცა კი ეს გარდაქმნა—შეერთება ქართველის ერისა რუსეთთან დიდი ხანია დაიწყო და სისრულეშიც მოდის, მაგრამ ზემოდ აღნიშნული საშუალება კი, ცხადია, ხელს შეუწყობს ხელოვნურად რუსებისა და მკვიდრთა განცალკავებასა.

მესამედ, განწესების დროს სახეში უნდა გვქონდეს სამსახურის სარგებლობა და არა ამა თუ იმ პიროვნების გვარტომობა. ბუნებას რომ ისე ენებებინა, ყოველი რუსი-კაცი ჭკუანიც ყოფილიყო, პატიოსანიც, კეთილსაიმედოც, ხოლო ქართველთაგან არავის ეს ღირსებები არა ჰქონიყო, მაშინ, თქმა არ უნდა, ყველა ადგილები უნდა მისცემოდათ რუსებსა. მაგრამ განვლილის და აწმყო დროის გამოცდილებამ თვალსაჩინოდ ჰყო, რომ ყოველ ასპარეზზედ რუსებთან ერთად პატიოსნად და სასარგებლოდ მსახურებდნენ ადგილობრივი მკვიდრნიცა, მაშასადამე ჩამოშორება ამ უკანასკნელთა საზოგადო თანამდებობათაგან ზიანს მოუტანს როგორც საზოგადოებას, ისე სახელმწიფოსა. რაც შეეხება ზედამხედველის ადგილს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, ეს თანამდებობა ეჭირათ უწინ ბევრს რუსთაგანსა, მაგრამ არც ერთს მათგანს არ მოუტანია სასწავლებლისათვის იმდენი სარგებლობა, რაც განსვენებულმა კალანდარიშვილმა, ქართველმა, ასე განისჯეთ, თვით რუსული ენის შესწავლისათვის მკვიდრთაგან, გარუსების დასაჩქარებლად მან გამოსცა შესანიშნავი სახელმძღვანელო. იმისა და მეორე სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის ქართველთაგან—გოგებაშვილის ღირსებები თვით საერო განათლების მინისტრმა მოიხსენია უქვეშევრდომილესს ანგარიშში ქებითა და დიდებითა.

მეოთხედ, ტფილისის სემენარიაში ამასწინად მომხდარმა სამწუხარო შემთხვევამ, უეჭველია, გამოიწვია ბ. კერსკის აზრი ქართველების გამოდევნისა სასწავლებლებიდან, მაგრამ ეს შემთხვევა არის სულ-ლური. ამაში დამნაშავენი მხოლოდ ისინი არიან, ვისაც აბარია, თვალყური ადევნონ მოწამეთა ზნეობასა. კიდევაც რომ წარმოვიდგინოთ, რომ იმ საქმეში ბრალი ედებათ მარტო ქართველებს, განა სამართლიანი იქნება რამდენიმე თავხედის გულისათვის ეჭვი ვიქონიოთ, შევაწუხოთ და დავსაჯოთ ყველანი.?

შიგნით რუსეთში ამათზე უარესი ამბები ხდება, მაგრამ მთავრობას არც კი უფიქრია ყველა რუსები შეავიწროოს და ეჭვ ქვეშ იყოლიოს. მეხუთედ, თუ ქართველებს არ მისცემენ იმისთანა მეორე ხარისხოვ ადგილებს, როგორიც არის ზედამხედველობა, მაშინ მიმართონ სხვა საშუალებასაც—დაბშონ მათვის კარნი უმაღლესი სასწავლებლებისა, ამას კი შემდეგ მოჰყვება დაბშონ კარი ყველა საშუალო სასწავლებლებისა კავკასიაში,—რაღა საჭირო იქნება ისწავლონ იქ მკვიდრთა შვილებმა, თუ სამსახურში არ მიიღებენ? ეკადრება კი ამისთანა საქციელი დიდს საქრისტიანო მართლმადიდებელ სახელმწიფოსა.

მეექვსედ, ეს საშუალება სავარგისი არ არის და მისი ასრულებაც შეუძლებელია: სასულიერო სასწავლებლების უმაღლესად დამტკიცებულის წესების ძალით ზედამხედველებს ირჩევს თვითეული სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოთა კრება. სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენებური სამღვდელოება, რაკი არ იცნობს არავის რუსთაგანს, არც ტრიალებს იმათ შორის, ირჩევს ვისმე მკვიდრთაგანს, რომელსაც ის იცნობს. მაშასადამე რუსის დანიშვნა შეიძლება მხოლოდ ადმინისტრატიულის წესითა, რასაც მოჰყვება უმაღლესად დამტკიცებულის წესდების დარღვევა. მე რომ უბრალო რჩევაც არის მივცე სამღვდელოებასა ზედამხედველ რუსის არჩევისა, გამოიწვევს ათასნაირ მითქმა-მოთქმასა, ხოლო თუ ნამდვილ მიზეზს გავაგებინებ, ე. ი. თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობის მოწერილობას, გულის **მოსაკლავ გავლენას** იქონიებს იმათზე, **რადგანაც** გაიგებენ, რომ მთავრობა იმათ ეჭვის თვალით უყურებს“.

ყოვლად სამღვდელო გაბრიელი, ათავებს რა ამ თავის პირველ წერილს, სთხოვს ექსარხოს ევსევის, ამ ეჭვა[illegible] იყვან კერსკის აზრს ქუთაისის [illegible] რო სასწავლებლის შესახებ [illegible] ამასთანავე სთხოვს, ეს მი[illegible] სენოს საერო განათლების მინისტრს.

ექსარხოს ევსევს ძალიან სძულდ[illegible] გაბრიელი, ყოველ ღონეს ღონობდ[illegible] ემარცხებინა, მიწასთან გაესწორებინა, გრამ ვერა დააკლო რა. ნამგალი [illegible] მოხდა და პირი ჩაიმტვრია. ექსარ[illegible] ევსევი ერთობ ამპარტავანი, გორო[illegible] ცი იყო. პირში, თუ პირს უკან, [illegible] ლის მთქმელი ჭირივით სძაგდა, ამ[illegible] მაც იყო, რომ განსაკუთრებით სძაგდ[illegible] სდევნიდა ეპისკოპოს გაბრიელს, ი. [illegible] გებაშვილს და საზოგადოთ ი[illegible] პირთ[illegible] სულიერო უწყებისას, რომელნიც კი [illegible] ყვას შეუბრუნებდენ სიმართლის გამ[illegible] კვევად.

დირბელი.

(შემდეგი იქნება)

სპარსეთის ამბები

რუსეთის შავრაზმული გაზეთები [illegible] ჩვენში „თბილისის ლისტოკი“ სტამბავ[illegible] იმგვარ დეპეშებს, რომელნიც მხოლო[illegible] მაჰმედ-ალის სასარგებლოდ ღალადებენ [illegible] ამათ რო დაუჯეროს კაცმა, მთელ სპარ[illegible] სეთს ისღა უნდა მხოლოდ, რომ ყოფილ[illegible] მა შაჰმა ხელ-ახლა ოგდოს ხელში ტახტი. ესენი ამტკიცებენ, რომ მთავრობის ჯარი საშინლად დამარცხდაო დამგანის აღების დროს, თუმცა რიცხვით სპარბობდა მაჰმედ-ალის რაზმსაო. ახლა პეტერბურგის გაზეთს „რეჩს“ დანამდვილებით შეუტყვია, რომ სპარსეთის მთავრობას არავითარი ჯარი არ გაუგზავნია დამგანში ყოფილ შაჰის წინააღმდეგ. აქ იმყოფებოდა თურმე მხოლოდ მუდმივი ადგილობრივი რაზმი 200 კაცისაგან შემდგარი. მთავრობა ელის ყოფილ შაჰს თეირანთან, სადაც ბედის გადამწყვეტი ბრძოლა უნდა მოხდეს.

ეფრემ-ხანი მოსკოვის გაზეთ „უტრო როსიის“ ცნობილ თანამშრომელს ტარდოვს დეპეშით ატყობინებს, რომ რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა ჰბეჭდავს განგებ შეთხზულ ჭორებს სპარსეთის შესახებ და ამით ხელს უწყობს მაჰმედ-ალის. ეფრემ-ხანი სთხოვს მას რაიმე ღონე იღონოს, რომ სინამდვილე გამოაშკარავდეს.

ბატონ-ყმობის ისტორიიდან სამეგრელოში

(მასალა)

ბატონ-ყმობის დროს სამეგრელოს მთავრის სხვა ქვეშევრდომებთან ერთათ შინობის ზეიერთების ქვეშ იმეოფებოდენ ეკლესიის მსახურნიცა. მდედელიც ამნაირათვე ემსახურებოდა ბატონს, როგორც სხვა უბრალო ერის კაცი, უმათ წოდებისა. ამ სტრიქონების დამწერის ბაბის შამა მდედელი იყო ერთ დადიანთა ოჯახის კარის ეკლესიისა. კეირაობით თავისს ბატონს რო უწერაედა, სხვებთან ერთათ ისიც უნდა წასულიყო ტყეში და ზურგით შეშა უნდა მოეტანა. ამ[illegible]

ლეგენდები

2

ლევან ყიფიანი.

თამარ დედოფლის ყელის სამკაული

დაბალ ფარჩის სკამზე ზის თამარ დედოფალი და სარკეში თავ-მომწონედ იხედება.

მის გარშემო ერთის ამბით დაფუსფუსებენ მისი მხევალნი: ახალგაზრდა, ალვად მოწეულ ტანისა და ტევრად დაყრილ ოქროს ფერი დალალ-კავებიანი მეგრელი ქალები, მათთან რამდენიმე გულკეთილი, ჩატუკნული, წაბლისფერ ნაწნავებიანი და ღრმა, მშვლის დაფიქრებული შავ-ტბა თვალ-წარბიანი ქართლელი გოგო, სწრაფი, ვერცხლის წყალსავით დაუდგრომელი, მხიარული და სიტყვამახვილიანი რამდენიმე გურული ქალი და ერთიც სომხის დედაკაცი სოსანა,—დედოფლის სამკაულთა და მთელი მისი სიმდიდრის მფარველი ქალი.

დღეს ღვთის-მშობლის სადღესასწაულო დღეა და დედოფალიც ემზადება ძველს გელათში გასამგზავრებლად, რათა თაყვანი სცეს ღვთისმშობლის ხატს.

მის წინ ფარჩა მოსილ მაგიდაზე გაბნეულია მრავალი ძვირფასი სამკაული. და ნარნარი თლილი ხელით დედოფალი თან თვალს არ აშორებს ოქროთი დაფერილ ვერცხლის ჩარჩოში ჩასმულ სარკეს, თან კიდევ სამეფო თავსახურზე იზომავს ხან ერთს, ხან მეორე მარგალიტის მძივს.

— არა, ეს არა... ეს არ მიხდება...

დღეს მას ჰსურს განსაკუთრებით მორთული იყოს, მეტად ტურფა, კეკლუცი.

მის გარშემო კი, ვით მიყუჩებულ საფუტკრეში, ისმის წყნარი, ნაზი და მასთან პირფერობით სავსე ქალების ხმა:

— დედოფალო, ამ მარგალიტთ არ ძალუძთ შეამკონ ის, რაც ყველა შედარებაზე და საქებურზე უაღრესია...

— დედოფალო, ეგ ძვირფასი ალმასები უმალ ფერს ჰკარგავენ და იფერფლებიან როგორც უბრალო კენჭები, რა წამს შენს ბრწყინვალე სახებას უახლოვდებიან.

— მათი ცეცხლი უმალ ნელდება, ვით გაღაღაჟებული ნაკვერჩხალი ნაცრის ქვეშ, როდესაც შენს თვალთა კრთოლვას შევადარებთ, დედოფალო...

— წითლად მოელვარე ლალნი, სისხლისფერი ბროწეულები და მარჯანი ვით შეუძლებენ შენს ძოწეულ ტუჩთ მეტოქეობას, დედოფალო! უყურეთ, ქალებო, ყველა ეს ძვირფასი ქვები სირცხვილით და შურით უფერულ ხის ნაჭრებად ღა გადაქცენ...

— შეხედეთ, დედოფალო თამარ, რარიგი ნეტარებით ბრწყინავს ეს სარკე, რომელსაც ხშირადა ხვდება წილად ბედნიერება, რომ შენი ღვთაებრივი სახის მოხაზულობა თავის პირიდან გამოაკრთოლოს.

— მაგრამ ეს სარკე უმალ მოიღრუბლება და მჭმუნვარება პირს შეუკრთობს, რა წამს თამარი გვერდით მისდებს მას.

— კმარა! თქვენ მეტად მაბეზრებთ თავს ამდენი ყბედობით!—ჩურჩულებს თავდავიწყებით მღიმარი დედოფლის ბაგე.

ყოველთვის, როდესაც მორჩება სახელმწიფო საქმეთ, რომელთაც ღრმა აზროვნების ნიშნად ნაოჭით შეუმოსეს მშვენიერი სამეფო შუბლი, ბრძენ დედოფალში იღვიძებს **ქალი**, რომელსაც არ ძალუძს იმ აღტაცების დაჯაბვნა, რომელიც გამოწვეულია მისი სიტურფით, ამ ერთადერთ წმინდა ქალური ამპარტავნებით.

იგი დიდხანს იყურება სარკეში, დიდხანს ისინჯავს ძვირფას ოქრომკედის ქსოვილებს თუ სამკაულებს და თანაც არც ერთი სიტყვა არ ეპარება პირმოთნე მხევალთა პირიდან. მან იცის, ღრმად დარწმუნებულია მათ პირფერობაში, მაგრამ მით მაინც მოსწონს ყველა ეს, თითქმის იმდენად, რამდენადაც მისი სიტურფით ამეტყველებული შოთა რუსთაველის მომხიბვლელი ჩანგი, ვით მისდამი გაუბედავ სიყვარულით აღგზნებული, საღვთაებრივი ლექსთა ბგერა მისი სასახლის მგოსნისა.

და დედოფალიც, სარკიდან თვალმოუშორებლივ, მიმართავს წყნარად:

— სოსანა, მომეკი სხვა რამე... უფრო მსხვილ თვლებიანი ყელსაბამი. დღეს მე მსურს ჩემს ხალხს ვასიამოვნო არა თუ საქმით, არამედ ჩემივე ხილვით, ჩემივე სიტურფით, ჩემი ძვირფასი სამოსელით და სამკაულით...

დედაბერიც წყნარად, სრულ ბატონსავით გასწევს ახალგაზრდა მხევალთ, რომელნიც ჭრელ-ყვავილთა რკალისავით გარს შემორტყმოდენ დედოფალს და გაანუწყვეტლივ ყურში ჩასჩურჩულებდნენ ახალ-ახალ მლიქვნელ ქებათა-ქებას მისი სიკეკლუცის შესახებ და მივა მასთან.

სოსანას ხელში მარგალიტის სამკაულთა მძივები ნაპერწკლებსავით ციაგებენ და ისე მოკრთიან, ვით ცისკრის პირად მოელვარე ვარსკვლავთ კანდელნი.

— აი, დედოფალო თამარ, აბა გასინჯეთ ეს ყელის სამკაულიც. ეს პირდაპირ ინდოეთიდან მოტანილ ვარდისფერ მარგალიტის მძივიდან გახლავს ასხმული და ორ მსხვილი იაგუნდითაა გამონასკული. ვფიქრობ, ეს უფრო მოგიხდება: დღეს სახეზე ჩვეულებრივზე უფრო ფერმკრთალადა ხარ... ან აი ეს მარჯნის მძივი, ან კიდევ ეს ძვირფასი ქვის მძივი, შეხედე, დედოფალო, თვითოეული მარცვალი ისე მოკრთის, თითქოს განთიადის პირს ამომავალ მზის სხივითა ისარი. ეს შენს ფერნაკლულევანებას შეავსებს, დედოფალო, თავის საკუთარ სხივებს შენს სახეზე ააღვარებს.

— მართლა, სოსანა?

და დედოფალიც სახესთან მიიტანს ვაცბიერი და იდუმალებით სავსე ჩურჩული.

უეცრივ, თითქოს ვიღამაც რაღაც გაახსენაო, თამარი წამოდგა. მას მოაგონდა რაღაც მივიწყებული... შეუსრულებელი...

მის გონებაში უეცრივ მგოსან შოთას ლექსთა ნაკადმა რაღაც სიმძლავრით ამოსჩქეფა და დედოფალს ელვის სისწრაფით გაახსენა:

„რასაცა გასცემ—შენია,
რასაც არ—დაკარგულია“!

ამავე დროს იმავე მხევალის ხმამ დააარღვია მდუმარება:

— დედოფალო, კართან მათხოვარა გიცდის...

და თამარიც სწრაფად კარებისაკენ გაემართება. გასწია მუქი, მოწითლო ხალიჩა და კარი გამოაღო, რომ უცნობისთვის მოეწოდებია და მის სურვილისამებრ მოწყალება საკუთარ ხელით გადაეცა.

— სადა ხარ? მოდი საცოდავო!

და თამარიც შეჩერდა.

მის წინ, კარებთან, ოთახის ნახევარ სიბნელეში მან გაარჩია ნაცრისფერ კვართში გამოწყობილი უცნობი ქალი, რომელსაც თავი ძველის-ძველ შალით მოებურნა. ხოლო კვართის ზემო კალთების ქვემოდან დედოფალმა შენიშნა მისკენ მოშტერებული წყვილი ზღვა, უფსკრულსავით ღრმა, მწუხარებით სავსე და შემოდგომის ღამესავით ჩაბნელებული თვალი.

თამარს გააჟრჟოლა.

— ნაცნობი თვალები! მაგრამ სად ვნახე, სად!?.

ხელ-ახლად დააცქერდა უცნობს და გატეხილი ხმითა ჰკითხა:

— საიდან მოხვალ, საცოდავო! გშიან? შენს თვალებში იმდენ მწუხარებასა და ტანჯვასა ვხედავ...

მათხოვარამ ორიოდ ნაბიჯი გადასდგა მისკენ და ხელ-ახლად შეჩერდა, ისევ უსიტყვოდ, უძრავად, თითქოს კუდიდან გამოკვეთილი ქანდაკი, ოღონდ თვალს არ აშორებდა დედოფალს, ვით ელვის ისრებს, ხოლოდ ამავე მწუხარებით, იმავე ტანჯულ მეტყველებით.

და თამარმაც ველარ გაუძლო მის ყურებას.

მოუთმენლად, თითქმის მრისხანებით მან თავი ველარ შეიკავა და განრისხებით ჰკითხა მათხოვარას.

— ვინა ხარ მეთქი? საიდან მოხვალ? ან რატომ სდუმხარ? იქნებ მუნჯი ხარ? მოიყე...

და თან ხელი გაუწოდა უცნობ მათხოვარას, რომ თავის დარბაზში შეეყვანა.

მაგრამ გაწოდებული ხელი ჰაერშივე დარჩა. მათხოვარა უჩინარ იქნა.

ზარდაცემულ დედოფლის თვალ-წინ, ვითარცა კვამლი, ვით მოჩვენება შორს ბურუსშივე ჩაიკარგა, თითქოს ჩასდნა ნაცრისფერი უცნობი სახე.

მკვნესარე გულით შეძრწუნებული დედოფალი მივარდა თავის მხევალთ და ათრთოლებული ეკითხება:

— რა იქნა მათხოვარა? სად გადიკარგა? მოსძებნეთ ჩქარა!

თვით კი მიიჯრა ორ-კარიან სარკმელთან, რომელიც ფერად მინებით იყო შემკული, გამოაღო და გადაჰხედა ძირს, სადაც ტურფა ბაღნარს კოშკის ჩრდილი სქლად დასდებოდა. სარკმლის გამოღებაზე მზის სხივები ტაღლასავით შემოაწვენ და დედოფალი თითქოს თვის ზვირთებში შეაცურეს.

— სად არის მათხოვარა? რა იქნა? არავის დაგინახავთ, ქალებო, საით წავიდა? ისმოდა დედოფლის გარშემო მის მხევალთა ხმა, რომელიც დარბაზიდან დარბაზში გადავიდა, შემდეგ ბაღს გადასწვდა და მთელ სამეფო ციხე-დარბაზის ყოველ კუთხეს იელისავით მოედო.

მოხუცი სოსანა კი გულდამშვიდებით თავის საქმეს შესდგომოდა და ნელ-ნელ წყნარად ძვირფას სამკაულთ ალაგებდა დაჭედილ სალარო ყუთში და უხმოდ,

ეზიდნა პატონის სასახლის საზეიმოებისთვის... პატონი არა თუ ამსახურებდა მდედელს, არამედ გაცვლა-გამოცვლის საგნადაც ხდიდა. კეთილეკე მასიონერი არქანჯელო დამნერტი თავის „სამეგრელოს აღწერაში“ ერთს დამახასიათებელ ამბავს მოგვითხრობს ამის შესახებ. შე-XVII საუკუნის დასაწყისში ოდიშში (სამეგრელოში) ერთი პატონი ეოფილა გვარად ჭიდაძე. ემთა გაუიდვის საქმეში სხვა შებატონეთ თუ არ აღემატებოდა, ჩამოვარდნით არ ჩამოუვარდებოდა თურმე. იმ დროს, როგორც მოგეხსენებათ ეოველგვარი საქონელი (ხალები, საბნები, ოსმალური ტეკვები, უნაგირები, შეგიდლინრები, რკინა, თიმბერი, ქვაბები, დამრიგებული ოვეზეულობა, დანები, საკმელი, შაქარი, მარილი და სხ.) სამეგრელოში ოსმალეთიდან მოგვდიოდა. ამ საქონლით დატვირთული გემი წელიწადში ერთხელ მოადგებოდა სამეგრელოს ნაპირს. მთელი სამეგრელო ზღვის ნაპირას მიაწყებოდა და ვისაც რა უნდოდა ართმევდა ოსმალთ. სამაგიეროთ აძლევდენ: თაფლს, ბზას, სხვადა-სხვა ბეწვეულს, აბრეშუმს, ხიდის თესლს და **ემებს**. ხსენებულ ჭიდაძესაც დასჭირებია ემები, რომ ამათს ბადდათ ოსმალთათვის საქონელი გამოეთომია. ემებმა შეუტევეს, ცეულ საქმეს გვიპირებს ბატონიო და ეველამ დროებით თავს უშველა. მაშინ ბატონმაც ხერხს მიმართა. გამოაცხადა: ამ და ამ დღესა-სწაულის წირვა უნდა გადავიხადოო და მდედღები დაჭმატეჟა. თან ეველას აღუთქვა: დიდებულთა გაგიმასპინძლებით და კარგათაც დაგასაჩუქრებთო. თორმეტმა მდედელმა მოიყარა თავი. დიდის ამბით სწირეს და სადიდის მოდოდინში იეენენ. ნაწირეველ ბატონმა ეკლესიის კარები დაკეტვინა და მდედღები შიგ მოიმწყვდია თორმეტისათვისვე თმა-წვერი გაპარსვინა დაჯაჭვილნი პირდაპირ ოსმალთ გემზე წაიევანა, გასასყიდათ. ოსმალთ ასის თუმნის საღირალი საქონელი მისცეს და თორმეტს მდედელს კი ოსმალეთში ამოაოფინეს თავი.

თვინიერ თავიანთ ბატონთა სამსახურისა, მდედღებს ებარათ აგრეთვე სახლმწიფო საქმე და კანდასახადი, როგორც ეველა სხვა ქვეშევრდომთ მთავრისას. იეო ხოდმე შემთხვევა, როცა მთავარი ოდიშისა ამა თუ იმ მდედელს განსაკუთრებულ სამსახურისთვის იმ საერთო სამთავრო ბეგარა-გარდასახადისგან ანთავისუფლებდათ. ხოდო საერთო ბატონეთურ დამოკიდებულებისგან მთელი სამდედელოება განთავისუფდა იმაზე აღრე, ვიდრე ეს თავისუფლება მიენიჭებოდთ სამეგრელოს ეველა მკვიდრთ, რუსეთში ბატონეობის გაუქმებამდინ შემეგ. სახელდობრ სამეგრელოს მთავრის ლეკენ დადიანს 1831 წ. 26 იანვარს გამოუცია „წინადადება,“ მიმართული სამეგრელოს ემხედეს „სასამართლოს“-მიმართ, რომლითაც შთავარი თავისს ქვეშევრდომ სასუფიერო წოდებას სრულიად ათავისუფლებდა ბატონ-ეეთურ დამოკიდებულებისაგან. ბირი ამ „წინადადებისა“ ამ ორი წლის წინათ სამეგრელოში მოგზაურობის დროს ერთს ოჯახში ვიპოვეთ. მიწერილი ჭქონდა ვახტანგ მეფის კანონების ხელნაწერს, რომელიც 1884 გადაუწერია ვინმე რომანოზ (გვარი არ არის ადნიშნული). თვით ხელნაწერი ჭკეთვნებია ახნაურს ზოსიმე ადეიბაიას.

აი ეს ბირიც:

„დირს ბატეთვის ტეეს სახლდისადმი უფლისა და მის კეეთ დეუფსებული კეთილობა ვადად ზდებენ ჩემზედ, რათამცა სამდედელონი, ვითარცა მსახურნი საკურთხეველისანი, იეენენ ჩემს სამეფლობელოსა შინა თავისუფალნი მონობისაგან მებატონეთისა. ამისათვის ეოველნი სამდედელონი მიიღებენ დღეითგანა თავისუფლებას შემდგომთა სეეეფლთა ზედა:

ა) სამდედელოთა მათ ეძღვესთ თავისუფლება ერთათ მათითა შვილებითა, რომელნიც იშობიან ამა ჩემს (1841) წლიდამ.

ბ) შეიღნი მდედელთანი, ამა წლამდე შობიღნი, სურვილისა-მებრ მათისა შესულად სამდედელოდ, ვითარცა კეთვნილ იეოს ბირადის თავის დახსნისათვის, მოგალე იქმნებიან მისცენ თავიანთ მებატონეს ოც-და-ხეთი მანეთი, მაშინ ოდენ უნდა მისცეთ მათ თავისუფლება თავიანთ მებატონეთაგან და აქვსთ ნება შეიდეს სამდედელო წოდებაში.

გ) ხოდო იმ შეიდთა სამდედელოთაგანთა რომელნი შობიღარიან ჩემს წელსა და არა მდგომარეობენ სამდედელოსა ხარისხოვანებასა შინა, დაშთებიან სრულსა მეფლობელობასა მებატონეთასა;

დ) ადგილ-მამულნი და ემანი, რომელნი მოზოვებულ არიან განთავისუფლებულთა სამდედელოთა-მიერ, უნდა დაშთეს მათს კეთილებებსა შინა; ხოდო სხეანი ადგილ-მამულნი და ემანი, მოჭეობულნი მათ ან მებატონეთა-მიერ სხვითა სახითა შესულნან მათსა სარგებლობასა შინა, მებატონეთა განკარგულებისა-მიერ, ანუ წოდებსა ქვეშე მემკვიდრეობისთა უჭერიათ მათ, შეირიცხიან საკუთვნელად მებატონეთა, რომელთა სამდედელოთა ექმნებით მათზედ მდგომარეობა და ანუ სარგებლობა თანამდებარიან აძლიან მებატონეთა გამოსავლისაგან ათის თავი;

ე) შენობანი სახლ-კართანი, ვითარნი აქვთ ეველანი ჩემი შეეყვარება არ შეუძლია.

— მე მზადა ვარ თქვენი გულისათვის თავი მოვიკლა.

— გინდა იცოცხლეთ, გინდა არა, ამითი მე არა შემმატება!

— მე ახალგაზდა ვარ.

— მეტი გულუბრყვილოც! გაიარეთ!

— მე ლამაზი ვარ.

— ძალიან კოპწიაც, მაგრამ გასწიეთ-მეთქი, გეუბნებით.

— მდიდარი ვარ.

— თანაც უგნური! გასწით მეთქი, თორემ დავუძახებ...

— მე საყვარელი ვარ თქვენი ამხანაგი კლემენტინასი.

— ააა! მაშ, რატომ აქამდინ არ მითხარით?

ამასთანავე ახალგაზდა ქალმა კარი გაუღო მას.

გრ.

---

† თაგ. გიორგი თარხან-მოურავი.

სოფ. ახალ-ქალაქში (ქართლი) თავის მამულში 24 ივლისს გარდაიცვალა გენერალ-მაიორი თავ. გიორგი იორამის ძე თარხან-მოურავი.

განსვენებულმა უმაღლესი სამხედრო განათლება მიიღო. იცოდა კარგად საარტილერიო საქმე.

მეოთხმოცდაათ წლების დასაწყისში მან დასტოვა სამხედრო სამსახური და უფრო გულ-მოდგინედ შეუდგა ქართულ საზოგადო საქმეებში მონაწილეობის მიღებას. ორივე სამსახურის დროს მან გამოიჩინა ძლიერი ხასიათი და პირდაპირობა. მოფერება და ქლესაობა მან არ იცოდა. ამიტომ ხშირად მტრებსაც იძენდა, მაგრამ სამაგიეროდ საზოგადოების შეგნებულ ნაწილში მას დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული.

ერთს დროს სამი წლის განმავლობაში იგი ჩვენი საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის წევრად იყო ქ. თბილისში.

ამის შემდეგ იგი დაინიშნა მომრიგებელ შუამავლად გორის მაზრაში. ამ თანამდებობას პატიოსნად ასრულებდა შარშანდლამდე. ბოლოს დაანება თავი ამ სამსახურსაც და შეუდგა თავის სოფელში მეურნეობას.

ხალხის პატივისცემა მისდამი გამოიხატა ნამეტნავად დასაფლავების დღეს. დიდძალი მისი პატივისმცემელი მოაწყდა მის ბინას ს. ახალქალაქში.

ყველა ნანობდა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ და მეტადრე ჩვენმა სოფელმა, რომელიც მას უყვარდა განსაკუთრებულის სიყვარულით, დაჰკარგა ერთგული მუყაითი მუშა და კეთილი საზოგადო მოღვაწე.

ზაასი ბ. ნ. ნიკოლაძესთან.

რედაქციის მინდობილობით ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა ნახა 28 ივლისს თბილისში ჩამოსული ჩვენი საზოგადო მოღვაწე, ფოთის ქალაქის თავი ნიკო ნიკოლაძე. ჩვენი თანამშრომელი გამოელაპარაკა ბ. ნი—ძეს იმ ხმების შესახებ, რომელიც გაზეთებმა გაავრცელეს, ვითომ ის თავს ანებებს ქალაქის თაობას და იწყობს კერძო სამრეწველო საქმესა. ბ. ნიკოლაძემ სთქვა, რომ ვანებებ თავს ქალაქის თაობასა, დავრჩები ხმოსნად, ფინანსიური კომისიის წევრად და რაც კი შემეძლება, რასაც კი დამავალებს ქალაქი, მე მზად ვიქნები ისევე გულ მხურვალედ და იმავე ენერგიით ვიმუშავო ფოთის საკეთილდღეოდ, როგორც აქნამდე. მე ორი თვის შემდეგ ვანებებ თავსაო.

— რა კერძო საქმეს იწყებთ? მართალია, გაზეთებში დაბეჭდილია ხმები, რომ ღვინის წარმოებას აპირებთ ქუთაისში, — დაეკითხა სხვათა შორის ჩვენი თანამშრომელი.

— მართალია მე პროექტი წარვუდგინე უპასუხა ბ. ნიკოლაძემ ერთს რუსეთის მდიდარს სამრეწველო ბანკსა. საქმე საქმეზეა მოწყობილი, გაიმართება დიდი სარდაფი ქუთაისში. განსაკუთრებით ნამდვილს იმერულს ღვინოებს შეინახავს და გაავრცელებს რუსეთში. დიდი ფული დატრიალდება ჩვენს ხალხში. დიდი მომავალი აქვს ამ ახალს საქმეს ჩვენში. იმედი აქვს ბ. ნ—ძეს, რომ ეს საქმე ამ ერთის წლის განმავლობაში განხორციელდეს.

ახალი ამბები

✦ მეფის მოადგილეს სოფ. მარტყოფის, ნორიოს და ლილოს მცხოვრებლებმა მიართვეს თხოვნა, რომ მომავალი კახეთის რკინის გზა ამ სოფლებს დაუახლოვონ.

✦ 29 ივლისს ქ. თბილისში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მხატვარი და ასოთ-მჭრელი **გრიგოლ პავლეს ძე ტატიშვილი.** განსვენებულის შესახებ დაწვრილებით ცნობებს შემდეგში ვაუწყებთ მკითხველს.

✦ ბათუმის გუბერნატორის შუამდგომლობით მეფის მოადგილეს თანაშემწემ გენერალმა შატილოვმა ბათუმის ახლად არჩეულ ხმოსნების სიიდან ამოშალა გრიგოლ სოლორაშვილი, ეფ. ბერძნიშვილი, ანდრია დეკანოზიშვილი და გიორგი ელიავა. ამათ მაგიერ მიიწვიეს კანდიდატები: სპ. გურგენიძე, ვლ. რუხაძე, ნ. საიპოვი და ივ. კახიანი.

✦ 28 ივლისს ქ. ბათუმში აირჩიეს ქ. თავად ისევ თავ. ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი 44 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 6-ისა, გამგეობის წევრად და ქალაქის თავის მოადგილედ—ისევ ევგენ კრინიკი (40 ოთორი—10 შავი), მდივნადაც ისევ ივანე მესხი (36 თეთრი —19 შავი).

✦ თბილისის ქალაქის გამგეობაში უკვე გამოფენილია 2 საარჩევნო უბნის ხმოსნების ამომრჩეველთა სიები. დანარჩენი სიებიც მალე იქნება გამოქვეყნებული.

✦ ჩვენს მკვლევარს ბ. ჯანაშვილს განუზრახავს თავის მიერ შედგენილი ქართული ლექსიკონი გამოსცეს.

✦ ქ. ნიკოლაევის ციხეში გარდაიცვალა ცნობილი მუშა სიმონ თავართქილაძე, რომელიც ეკუთვნოდა ს.-დ პარტიას.

✦ გაზ. „ნოვოე ვრემიას“ სიტყვით პარიჟში მომხდარა ს.-რ.-ების კონფერენცია ამ პარტიის სხვა და სხვა ჯგუფების შესაერთებლად. უმრავლესობას გადაუწყვეტია მეოთხე სათათბიროს არჩევნებში პარტიამ მიიღოს მონაწილეობა. იქვე შემდგარა აგრეთვე ს.-დ-ების კონფერენციაც „მეუმრავლესეთა და მეუმცირესეთა“ შესაერთებლად.

✦ ქართლში მოგზაურობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს მონდობილობით ბ-ნ ე. თავ. თაყაიშვილს და ა. სარაჯიშვილს ქართლის ზოგიერთა სოფლები მოუვლია არქეოლოგიური მიზნით. ქართლელთ ორივე პატივცემული მოგზაური დიდის თავაზიანობით მიუღიათ და მრავალი საინტერესო სიგელ-გუჯრები, ხელნაწერები და საეთნოგრაფიო ნივთები გადაუციათ.

✦ 28 ივლისს ქართულ სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა შესდგა. საბჭომ დაადგინა შემუშავებულ შინაარსის ბლანკები გამოსცეს ანკეტის მოსახდენად. ეს მასალა გაუადვილებს საბჭოს საჭირო კითხვების გადაწყვეტას. ბლანკებს დაურიგებენ სოფლის მასწავლებლებს, მღვდლებს, აგრარულ კომისიის ინსტრუქტორებს და სხვ.

✦ ქ. ოდესაში გადაუყენებიათ სამსახურიდან თავ. ხერხეულიძე, რომელთაც ადგილობრივ მაძიებელ განყოფილების გამგედ იყო დანიშნული. გაუჩხრეკიათ მისი ბინა. წაუღიათ გასასინჯათ მიწერ-მოწერა და სხვა და სხვა საბუთები.

ამკვირია გარდაიცვალა თბილისში კავკასიაში სამადნო გამგეობის უფროსი კ. რუგეევიჩი.

✦ თბილისში მომავალ სეზონში ოპერის საქმეს აწარმოებს ჩვენი ნიჭიერი თანამემამულე ივანე ფალიაშვილი. დასში მოწვეულნი არიან: ცნობილი მომღერალი ბახუტაშვილის ქალი შულგინის მეუღლე, ბარიტონი ევლახიშვილი, ბასი—მოზეუხინი და სხვ.

✦ აგვისტოს განმავლობაში სისხლის სამართლის საქმეების გასარჩევად შემდეგ დღეებში ექნება სხდომა ოლქის სასამართლოს და სამოსამართლო პალატას. ოლქის სასამართლოში: 1-ლ განყოფილებაში 3, 10, 17 და 29-ს აგვისტოს; 2-ე განყოფილებაში: 5, 8, 12 და 19 აგვისტოს. სამოსამართლო პალატაში:—ორივე დეპარტამენტში: 5, 12, 19 და 25 აგვისტოს.

თავ. კონსტანტინე ამირაჯიბის მეურნეობა სოფ. ავლევში.

ვისაც ჩვენი ქვეყნის სოფლები დაუვლია, ჩვენს მეშამფლეთა მეურნეობას დაკვირვებია, ის უტეეეგრათ დარწმუნებულია, რომ იქ არავითარი რაციონალური მეურნეობა არ არსებობს, რომ ძალიან დიდი უმეტესობა მემამულეთა ეოველგვარ სიდატკეს კანაცდის.

მართალია რას წარმოადგენს დღევანდელი ჩვენი სოფლის შემამულე?—გზა დაკარგულ ადამიანს! შაწა;—ეს ჩვენი ულეველი სამდიდრის სალარო, ბევრს კიდეე სკუთრათ მოეზოვება, მაგრამ მისი პატრონი კი მშიერი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

3 მანდარი*)

„დილით ადრე ხილვა მსურდა გადაფურჩქნულ თეთრ მანდარის,
იადონმა სტეენით მითხრა: შორს ნუ მიხვალ ე, მანდ არის!
რა დავხედე, აღარ მსტყორცნა მსგავსი შუქი მე მან დარის!

—

სატრფოს ცრემლი დასცემოდა, წითელ სისხლში მას ებანა;
მგლოვიარედ, უნუგეშოდ ობოლ მგოსნის ხმას ებანა;
დათალხულსა, ჩაბნელებულს ღრუბელთ გუნდის მთას ებანა.

—

ღამის ბულბულს ნორჩი გული ბასრ ეკლისთვის ზედ წარეგო,
ტრფიალისთვის აზრი, გრძნობა დაჰკარგოდა და წარეგო.
ცრემლო, რისთვის მოწყდი თვალებს? ველ-მიდამო გსურს წარეგო?

—

მსწრაფლ ფურცელნი, თეთრ-სპეტაკნი ალისფერად შეიღება;
მანდარისთვის სიხარული კარი აღარ შეიღება.
ვაგლახ! სევდა და სახმილი სულის წიაღს შეიღება.

—

მისი ცოდვით დავიდაგე, ვერ ვუძლებდი დიდხანს მზერას;
ვიშ, დობილნო, შეიბრალეთ! აწ უშველის სხივით მზე რას?
ვაი, ვის რა შეჰღალადო, ვით ეუბნოს მუდამ ზე რას!?,

—

თვით ვალალებს, მწარედ სტირის, ლეშთა სევდის ამარისა;
პირმობურულს აღარ ესმის სიამტკბილე ამ არისა.
აწ გულ-მკვდარი, უთვისტომო მნატვრელია სამარისა.

ა. შანშიაშვილი.

---

3 სასაფლაოზე

ნაწყვეტი.

აქ მოიტანეს, მოიტანეს ის განთიადზე
ცხოველი ცრემლი არ დაღვრილა მგოსნის საფლავზე
ის უცხო იყო ყველასთვის და ყველა მისთვის,
ვის რა საქმე აქვს, რომ მღეროდა ის, ჰიმნებს მზისთვის?
იყო, იმღერა.. და ვით ყველა, საფლავს შთავიდა,
მოკვდა მის ხსოვნაც... განა ბრბოსთვის არის რამ წმიდა?
მაგრამ სიკვდილსაც, შავ სიკვდილსაც **აქვს** გაზაფხული,
საფლავის მტვერშიც მზეს უმღერებს პოეტის სული.

ტ. ტაბიძე.

*) ერთგვარი მშვენიერი და თეთრი ყვავილი იყო, ვიდრე მის ეკლებს ბულბული გულს არ დაუგებდა და მის ფურცლებს წითლად შეჰღებავდა.

თითქოს ღამურას გაეფრინოს, ისიც სწრაფად შედი-გადიოდა დარბაზში.

დედოფალი კი ისევ იმ მდგომარეობაში იყო სარკმელთან და მოუთმენლად გაჰყურებდა მწვანე, დაჩრდილულ ბაღის ბილიკებს, საიდანაც ელოდა უცნობ მათხოვარა დედაკაცის გამოჩენას.

გადააბრუნეს ბაღი, სასახლის კარი, თვითოეული კუნჭული სათითაოდ გადმოაქოთეს, მაგრამ ამაოდ, მათხოვარა ვერავინ იპოვნა. მისი ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო...

ორი მხევალი გაემართა მონასტრის გზით, მაგრამ მათხოვარა ვერც იქა ნახეს.

სათითაოდ, ხან წყვილ-წყვილად, ხან კიდევ ჯგუფობით ბრუნდებოდენ აღელვებული დედოფლის მსახურნი, მხევლნი და დედოფლის სასტიკ, მდუმარე, მაგრამ მასთან მრავალმნიშვნელოვან კითხვით გამომეტყველ სახეს, ვეღარ გაუძლეს და ათრთოლებით უპასუხეს:

— არსად არა სჩანს, დედოფალო, ვერსად ვიპოვეთ მათხოვარა...

— გზა-გზა გელათისკენ ბევრი მათხოვარა ვნახეთ, მაგრამ ის კი არ გვიცვნია. თითქოს ცას ეყოს მისთვის პირი, ისე გაჰქრა, დედოფალო, ყოველი კვალი.

თამარი იდგა სარკმელთან ფერმიხდილი, უზომო ჯავრით დაზიდული. აღელვებული.

სევდის ღრუბელმა მოიცვა მისი ბრწყინვალე, კეკლუცი სახე.

სულის სიმშვიდე შეემოსა მწუხრის მანდილით.

თითქოს მოშხამული ფუტკარი ჩასჯდომოდეს გულს, ისე ჰქეჯნიდა მას სინდისი.

უეცრივ აუწერელმა მღელვარებამ მოიცვა. მაგრამ ვიდრე გონს მოვიდოდა, შორიდან გაისმა ყრუ, გუგუნით დაძრული ხმა გელათის მონასტრის ზარისა...

* *

ზღვა ფიქრს მიცემული და უზომო ჯავრით დაზიდული თამარი მიეშურებოდა ძველს გელათისაკენ. თან კარის-კაცნი მისდევდვენ მას.

გზას ხეივანსავით წყება-წყებად მისდევდა წაბლისა და ვაშლის ხეები და მცირეოდენ ნიავის დაქროლვაზე, თითქოს დედოფლის დასახვედრად, მთელ გზას ხალიჩის მზგავსად აჭრელებდენ თეთრსა და ვარდისფერ ყვავილებით.

ჰაერი გაზაფხულის პირით სუნთქავდა და ტკბილად შეზავებულიყო პირველ ყვავილთა სუნნელოვნებით თუ ნორჩ ფოთლებიდან ანაკმევი ფისის გუნდრუკით.

ხასხასა მწვანე ბალახში ნაზი ღიმილით ციაგობდა ჰალილას ლაჟვარდოვანი გულ-მკერდი და ისე კრთოდა, ვით უმანკო ბავშვის თვალები. აქა-იქ გვირილათაც თავი ვარსკვლავთა მზგავსად წამოეყოთ, ხოლო სადღესასწაულოდ გამოწყობილი და ძოწეულით მხარ-ბეჭ დამშვენებელი ყაყაჩონი ამაყად ეტრფიალებოდენ ცელქად მონავარდე ნიავს და სრულს უფლებას აძლევდენ გაღეღილ გულ-მკერდში და სულში ჩასძრომოდათ მათ ეს ბუნების ანცი არშიყი. გელათის გარშემო შემორტყმული სამონასტრო ბაღები გაზაფხულის ფრთით დილის ნისლის ტალღებში ჰსცურავდენ.

მაგრამ ახალგაზრდა დედოფალს არ შეუნიშნია დღეს ეს ღვთაებრივი სიკეკლუცე, ბუნების დიდებული მეჯლისი.

მას არ ესმოდა გზადაგზა თავისი ერის მისალმება, არც თუ მლოცველთა იღუმალი ჩურჩული, არც თავის მხევალთა პირმოთნე ქებათა-ქება, არცა ფრინველთა ჟრიამული .და არც ჭრიჭინათა ჭრიალწკრიალი, აქა-იქ ცვარ-ნამ მონაპკურ ბალახში რო არ ისვენებდენ.

და როდესაც დაბალი კარით შევიდა ნახევრად მობინდულ ტაძრის თაღების ქვეშ და ანთებულ სანთლებით გაჩაღებულ საკურთხევლისკენ გზა გაუწიეს მლოცველებმა, იგი მიუახლოვდა ღვთისმშობლის ხატს, აღაპყრა თვალნი და ჰხედავს, რომ ოქროს შესამოსიდან ძველი, შეშავებული ხატი, უყურებს მას ღრმა, ზღვასავით უძირო, მწუხარი შავი თვალებით, ვით შემოდგომის ღამე.

და მეტყველება ამ ხატისა ერთსა და იმავე დროს აღსავსე იყო უზომო სიწყნარითა და მორჩილებით, მოწყალებითა და სისასტიკით, სიმკაცრითა და ლმობიერებით, თითქოს სურს ყოველისფერი აპატიოს მას.

მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ჟამთა ვითარებით შერუჯულ ხატს აღარა აჩნდა რა არც ცხვირი, პირი, არც სად ლოყა, შუბლიც კი შეჰფცქვნილიყო, თვით შარავანდედიც არსად სჩანდა, გარდა ამ ღრმა, მწუხარებით აღსავსე ზღვა შავი თვალებისა, ვით შემოდგომის ღამე, რომელნიც წამწამთ ისრების ქვეშ განუწყვეტლივ არ შორდებოდენ დედოფალსა და თითქოს რაღაცას ჰკითხავდენ, თითქოს კიდეც პასუხსა სთხოვდენ, რათა მის თვალთაც მიეცათ მისი ძლიერი, მუნჯი მეტყველებისთვის გარდამწყვეტი გამოძახილი.

და შეკრთა თამარი.

მან **იცნო** ეს თვალები...

ათრთოლებულ მიწიერ დედოფლის ტუჩებმა ოდნავ გასაგონი ხმით ძლივ-ძლივობისას წაიჩურჩულეს:

— ო ზეციერო დედოფალო, მწუხარევ ქვეყნის ტკივილებით, გლახაკთა გამკითხავო და მწირთა მფარველო, მაპატიე, შემინდე მომაკვდავ დედაკაცს... მე არ აღვასრულე ჩემი უდიდებულესი მოვალეობა რაღაც ამაო და ურგები ქვეყნიური მედიდურობის გამო. ო, ზეციერო დედოფალო, მწუხარევ მთელი მსოფლიოს ვითა, მომიტევე მეც!!.

იგი დაემხო ხატის წინ და თვალ მილული გონების თვალით შეჰყურებდა უძირო უფსკრულს მწუხარე ღვთისმშობლის თვალებს და მუნ ეძებდა ნავთსაყუდარს, შესთხოვდა ცოდვათ გამოსყიდვას და ელოდა თავის ცოდვათა პატიებას.

ტაძრის მობინდულ თაღებს ქვეშ იღუმალებას დაესადგურებინა, ოღონდ საკურთხევლის წინ ძველ ხატების წინ დანთებული სანთლები ათასში ერთხელ ლაწუნობდენ და ერთიც, გუმბათის თაღ ქვეშ გატეხილ სარკმელით შემოფრენილი მტრედი დაფრინავდა წარამარად.

თამარი ლოკულობდა.

როდესაც თავი მაღლა ასწია და ხელახლად შეჰხედა ღვთისმშობელის სახეს, იგი მზის სხივთა შარავანდედით ოქროს ფერად ნათელსა ჰფენდა.

ზეციერ დედოფლის თვალებში მიწიერმა დედოფალმა ამოიკითხა უზომო სიყვარული, ნაზი ალერსი და უწყინარი პატიება.

მზის სხივები გამარჯვებულსავით ტალღებად მოჰგორავდენ სარკმლებიდან და ნათლის ზვირთებში ატივტივებდენ ტაძრის თაღ-კედლებს.

თამარიც აღივსებოდა სიხარულით და აღფრთოვანებით ჩურჩულებდა:

— ბრწყინვალე, დიდებულო დედოფალო, შენ მე მისმინე, შენ მე მომიტევ ცოდვანი ჩემნი!..

ამ სიტყვებზე მან სწრაფად შეიხსნა იაგუნდის საღილე, ყელიდან გადმოიგდო ძვირფასი მარგალიტის სამკაული და აღტყინებული სიხარულით ღვთისმშობლის გვირგვინს მოახვია.

და თვითონაც ბრწყინვალე სიხარულით აღსავსე თამარი უზომო ბედნიერებით შეჰყურებდა ბრწყინვალე მარიამის სახეს.

წირვა დაიწყო.

და ძველი გელათიც შუადღის მზის სხივებში მღიმარ სახით მოლოდინებდა...

დ. კ—ძე.

---

2 კეთილი ამხანაგი.

ანტულ მენდელისა.

კაკ! კაკ! კაკ!

— ვინ არის?

— გამიღეთ!

— ამ დროს? ალბათ თქვენ არ იცით, ბატონო, რო ბნდილი ვარ და ვწვები. აი, ეს-ეს არის სავარძელში ჩემი კორსეტი მივაგდე. ცალ ფეხზე კიდევ შავი აბრეშუმის წინდა უკვე გახდილი მაქვს.

— ნება მიბოძეთ მეორე მე გაგხადოთ.

— თავხედო! მიბრძანდით, საიდანაც მოსულხართ.

— მე მიყვარხართ.

— მე კი მსურს მარტო იმას შევხედო, ვისაც ჩემი შეყვარება არ შეუძლია.

— მე მზადა ვარ თქვენი გულისათვის თავი მოვიკლა.

— გინდა იცოცხლეთ, გინდა არა, ამითი მე არა შემმატება!

— მე ახალგაზდა ვარ.

— მეტი გულუბრყვილოც! გაიარეთ!

— მე ლამაზი ვარ.

— ძალიან კოპწიაც, მაგრამ გასწიეთ-მეთქი, გეუბნებით.

— მდიდარი ვარ.

— თანაც უგნური! გასწით მეთქი, თორემ დავუძახებ...

— მე საყვარელი ვარ თქვენი ამხანაგი კლემენტინასი.

— ააა! მაშ, რატომ აქამდინ არ მითხარით?

ამასთანავე ახალგაზდა ქალმა კარი გაუღო მას.

გრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიელ-ტრაგედი დადის. მისი სოფელში მოყვანიდანაა არავის ენახვება, მის ოჯახში არ მაიცვლება!

რატომ არის ასე? ეს კითხვა ხშირად გვეტრიალების თავში და მაელვებს ერსებას გვიწამებდა. ჩვენი შემამულე მოსწყდა მიწას, შრომას შეუშინდა, მას სოფლად მუშაობა სძულს; რომ სოფლის შესაფერი ტოდნა არ აქვს, ამის ჩვენ არც კი ვიხსენებთ. ჩვენს შრომელ გლეხკაცობასაც არ აქვს ტოდნა, მაგრამ ის თავის ოჯახში დღე—მუდამ მუშაობს, ოფლით რწყავს თავის ეზომიდამის, და ასეთ ადამიანს, თუ სიწირო ტოდნის მიაწვდი, რომელიც. მას შრომას გაუადვილებს, მოსავალს მომატებს, ოქმა არ უნდა, ის ამ ტოდნას გამოუქმელის სისწრაფით და მადლობით შეითვისებს, გამოიყენებს. ისეთ ადამიანს, რომელსაც შრომა სძულს, ტოდნა გამოტიდიდეს კიდეც რომ გაუზიარო, ძნელად ისარგებლებს. სოფელს არ აკვს ისეთი მეურნე-მეოჯახე, რომელსაც წარმეუხრელად შეეძლოს უთხრას მრავალტანჯულ გლეხს, შრომის გარე მეოდ მუმამეფეს: ეი ჩემსავით საქმე აკეთე, ჩემსავით შრომა შეიეგარე და შენი კარგი ცხოვრება უზრუნველ ეოფილი იქნებაო.

ჩვენ სოფლის ასეთ სიცარიელეში თავადი კონსტანტინე ამირაჯიბი წინამორბედი,—მოდექალა.

ჩვენ—ბატონ კონსტანტინე ამირაჯიბს ნიარადაო არც-კი ვიცნობდით. ახლა-კი ვიცით რომ ის ერთად კანთალეულია ენერგია, ნიჭით და უმაღლესი სწავლით აღჭურვილი. ის რომ თავადანვე სამსახურში შესულიყო დღეს ადვილად იქნებოდა „ეგ ა ბროფესიონალიტეტელსტვო ანვესიოო ბრეფესიონალიტეტელსტოო“. მაგრამ არა, ბ. კონსტანტინემ სოფელს არ უღალატა, მან ადვილად შეიგნო და შეასრულა ის, რაც ბევრს ჩვენგანს დღემდე უნდა შეიგნოს. სწავლა-მეცნიერებით გამტკიცებული სოფლად დაბანადა თავის ოჯახს, სოფლის მამულს სოფელში ჩუდგა და შრომობს,—კანფუფეტლივ შრომობს.

მან, ადბათ ბირველსავე დღეს თავის მოქმედების დაწყებისა, ასეთი კითხვა მისცა თავის თავს: რა მოკობს მე,—რა სჭირია სოფელს, — გადასწყვეტა—მიწის გონიერულად შეშუშავება, ოჯახის გაშაგრება, მეზობლების შეიდების სწავლა:

ამ გზას დაადგა კიდეც. უბირველეს ეოფლისა მიწის გონიერულად შემუშავებას მიეყო ხელი: შეეძინა საუკეთესო ირადი:—ბეთანი სხვა და სხვა გვარი ჯიშისა, ფარტხი, სამკადი მანქანები, სათიბი, თესლის სარჩეკი, სალიანი, სარეში და სხვა.

დაუკვირდა მუშაობში ბუნებს, დაკვირვებამ აჩვენა, რომ ეერთბეიელ ბუთანს ჩვენი ბირობისათვის გადაკეთება სჭირია და შესახამებლად გადაკეთა კიდეც, შექმნა ახალი—ამირაჯიბის სისტემის ბუთანი,—თავისივე სახელოსნოში გაკეთა და კონკურსებიც გაგზავნა. საცოდავად ბეგრნაირი ჯიშის ხორბლეული დათესა და თვითეულ ჯურა თესლს კალენდარი გაუჩინა, ეთვალიეე ცდ, —მისი შედეგი დავთარში ადნუსხა. ამ გვარად საქმე ისე დაიენა რომ მოსავალს შესამნევანო შემატა.—ახლა შეზიარელი რომ მივიდეს და უთხრა, „ბატონო კონსტანტინე, რა ბერეული დვთესო ჩემს მამულში, მიწა როგორ შეგიშუშაო რომ სარგებლობა მეტი ენახო“ ი ბირადად ადგილობრივ გამოცდილებაზე დამყარებულ უტეეარ ბასეს მიიღებს.

აბა ერთი მაბრძანეთ, რა ღირს ასეთი დახმარება? შეგიძლიათ თანსთ—ფეფლით განსაზღვროთ მისი დიდი ღირებულობა!—შეეძლებელია.

იგივე ითქმის საუკეთესო ჯიშის საქონლის გაჩენისაზედ. თავად ამირაჯიბის ადგილობრივ გამძღე—ღონიერი ტხენები ეკვს, რომელებიაც ამეაბეებს სამეურნეო მანქანებს, ხნავს მიწას. ეკვს კარგი სისხლის ულაეი, რომლითაც ეუმჯობესებს ადგილობრივ მეტხოვრებთა ტხენის ჯიშს.

აქვე ნახავთ ძალიან კარგ მეწყედ ძროხებს, ეკვს ისეთი ჯიშისაც, რომელიც დღეში ორ ვედრა რძეს იძლევა. თვალს ვერ აშორებთ სიმეტყველის თავ მომშწონე ბუდეს, რომელიც ამეობს სილამაზით, ამეობს ღონით და სისხლმოეკვნილობით, მაგრამ ამეობს უფრო იმით, რომ ადგილობრივ უნეარო ძროხებს გაუკეთილშობდა, გაუუმჯობესა ჩამომავლობა.

კონსტანტინე ამირაჯიბმა ევროპიელთა მოაწყო ვენახი; ხეხილი, ბადი, ბოსტანიც. თუმცა ეს რაიონი მაღალია, მაგარი ღვინოები ვერ დადგება, მაგრამ ჭვავს ჯიშები შეურჩია, კულტურა შესწორა.

მან კარგათ იცის, რომ ქართველ კაცს უდვინოთ, უზეადოთ ცხოვრება არ შეუძლია. საკუთარი ვენახის ღვინო ურჩენია, სხვა კუთხის—ისეთსაც ნაად თუნდაც კარგ ღვინოს. ქართველს, როგორადაც სოფლათ, ოჯახში ეჩოთრება კიდეც მტკერ-მოეკარესთან, ჭირსა და ლხინში ნაედი ღვინის ხმარება.—ადგილობრივ მეტხოვრებთ უფრო მოსწონთ თავისი რაიონის ღვინო, მის გემოს შეჩვეულები არიან და ურთიერთ შორის კარგ ფასებშიც ეიდიან.

კონსტანტინე ამირაჯიბი ამრავლების შინაურ ფრინველ-ფეხს გაუმჯობესებულ საქონლისა და შინაურ ფრინველთ, კარგათ იცის რომ ეველა ეს ოჯახს ძალიან სჭირია.

ადვილათ შეიგნო რომ ჩვენებური შემამულისათვის, მეურნისათვის აუცილებელია ოჯახში სხვა და სხვა გვარი და დარგის მეურნეობა, ამიტომაც შეკერთა და მოაწყო უმთავრესი დარგთა ანი. გამბრთა სახელოსნოები: სამკედლო, საჩიბანგრო, სადურგლო, რომ ეოველ წამს შეეძლოს თითონვე მეაკეთოთ—ვინიტობაა მანქანის რამე გაუფუჭდეს და დაეგმეოთვალოს ოჯახის ამ მხრივ მრავალი მოთხოვნილება და შეზობლებსაც დახმარება ადმოუჩინოს.

ასევ ეკვესიის დაარეთდათ,—თავისივე მადლიანი ხელით სრული. რესტავრაცია უეო ადგილობრივ საყვარს, დაეკვირდით კანკელს, ოტარს, ლმობიერებისაკენ, სადოცანეთ —ეიწეეთ, ივიწეეთ შენს საკუთარ ეკონომიას და ამ დამაზს ამმდოტეველობა ინოქმ და ავედრეთ ღვთის შშობელს მის წილხდომილს, შენს საეკარელ და მშვენიერ სამშობლოს!

მაგრამ ეველა ამან არ დაეამეოფილა კონსტანტინე ამირაჯიბი, მან იგრძნო მის არსებაში ერთი დიდი სიცადიერე და შეეხედა; გადასწეეტა, თუ ეს სიცადიერე არ კეკარეთ ეფეშა ჩემი ხალხისადმი მოცილეობაო, სოფლა და ასრულა კიდეც: აქ ამ ადგილას ჩასდგა ტაძარი მეტნიერების—სკოლა. გულის მეეერდზედ დაიწერა: ჩემი მოძმის შვილებს შეეკრეს და უბირველესად: „ვასწავლიდ წიგნს, ვასწავლიდ წერა-კითხვასაო,“ და ასწავლა კიდეც! ასი ბატარა ქალ-ვაჟი, ერთათ გლეხთა და თავადაზნაურთა შვილები ჩვენ ეეელამ ვნახეთ აქ სწავლაზედ დაწოებულნი. **ვნახეთ და გაგვეხარდა!**

ამ სიახრულს თქვენც გიზიარებთ, ჩვენი მეთხვე